

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ბრძანება №01-02/15

ქ. ბათუმი

27 იანვარი, 2023 წელი

„ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის
№01-02/168 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის №06-01/07 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-02/168 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის 2023 წლის 24 იანვრის №70028 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის N01-02/168 ბრძანებით დამტკიცებული ზოგიერთი პროგრამის სასწავლო გეგმაში, კერძოდ;

1.1. ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-02/168 ბრძანების №1 დანართში შეიცვალოს „საფინანსო სერვისების“ სასწავლო გეგმა (დანართი 1 - სასწავლო გეგმა) და ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად;

1.2. „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-02/168 ბრძანების №2 დანართში შეიცვალოს „ბუღალტრული აღრიცხვის“ სასწავლო გეგმა (დანართი 1 - სასწავლო გეგმა) და ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების N2 დანართის შესაბამისად;

- 1.3. „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-02/168 ბრძანების №3 დანართში შეიცვალოს „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ სასწავლო გეგმა (დანართი 1 - სასწავლო გეგმა) და ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების N3 დანართის შესაბამისად;
- 1.4. „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-02/168 ბრძანების №6 დანართში შეიცვალოს „სატყეო საქმის“ სასწავლო გეგმა (დანართი 1 - სასწავლო გეგმა) და ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების N4 დანართის შესაბამისად;
- 1.5. „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-02/168 ბრძანების №7 დანართში შეიცვალოს „მებაღეობის“ სასწავლო გეგმა (დანართი 1 - სასწავლო გეგმა) შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების N5 დანართის შესაბამისად;
2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“).
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, შესაბამის ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, პროფესორი

მერაბ ხალვაში

„შუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების „შესახებ“ შეუ-ს რეკტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-02/168 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ შეუ-ს რეკტორის 2023 წლის 27 იანვრის №01-02/15 ბრძანების დანართი №2

„მსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანთლებლო პროფესიული დაწყობების შესახებ“ შპუ-ს რეალიზაციის 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-02/168 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ² სუ-ს რეალიზაციის 2023 წლის 24 იანვრის №01-02/15 გრძელების დანართი №3

„შეუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროფესიული შესახებ“ შეუ-ს რეტრონის 2019 წლის 25 ოქტომბრის №01-02/168 ბრძანებაში ცვლილების შეტანი შეუ-ს რეტრონის 2023 წლის 29 იანვრის № 01-02/15 გრძელების დანართი №4

